ტესტი ისტორიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-29.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა გამოიწვია აქემენიანთა სახელმწიფოს მიერ ეგეოსის ზღვისპირეთის დაპყრობამ?

ა) პუნიკური ომების გაგრძელება;

ბ) ფინიკიური კოლონიზაციის დასაწყისი;

გ) მიდიის სამეფოს ჩამოყალიბება;

დ) ბერძნებთან ომების წამოწყება.

2. რომელი ისტორიული პროცესის შედეგია ასახული რუკაზე?

ა) ასურეთის სამეფოს გაძლიერების;

ბ) ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების;

გ) სელევკიდების სამეფოს ჩამოყალიბების;

დ) კიროს დიდის დაპყრობების.

3. რომელი მსჯელობაა მართებული ოქტავიუსის მიერ რომის რესპუბლიკის მმართველობაში განხორციელებული ცვლილების შესახებ?

ა) დაშალა სენატი;

ბ) შემოიღო ტეტრარქია;

გ) დაამკვიდრა პრინციპატი;

დ) გააუქმა დომინატი.

4. რას მოელოდა ირანის შაჰი ბიზანტიის წინააღმდეგ გუბაზ II-ის მოკავშირეობის სანაცვლოდ?

ა) შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას;

ბ) ისლამის თავისუფლად გავრცელებას;

გ) დარიალის გასასვლელის გაკონტროლებას;

დ) ოქროს საბადოების დაუფლებას.

5. რომელი მსჯელობაა მართებული არაბთა სახალიფოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით?

ა) სახალიფოში შენარჩუნდა ირანული ტრადიციები, რადგან პირველი ვეზირი ალ-მულქი ირანელი იყო;

ბ) ისლამსა და სახელმწიფოს ერთდროულად ეყრებოდა საფუძველი, რადგან ამ პროცესებს მუჰამედი წარმართავდა;

გ) სახელმწიფოს ჩამოყალიბება მეზობელი ხალხების თავდასხმების მოგერიების აუცილებლობამ განაპირობა;

დ) სახალიფოს ჩამოყალიბების შედეგად შეწყდა ისლამში არსებული დაპირისპირებით გამოწვეული შინაომები.

6. რა ევალებოდა დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ „მსტოვართა“ უწყებას?

ა) დიპლომატიური ურთიერთობის წარმართვა;

ბ) მომთაბარეთა თავდასხმის სწრაფი მოგერიება;

გ) სახელმწიფოს მტრების გამომჟღავნება;

დ) სამეფო კარზე ეტიკეტის დაცვა.

7. რომელ მონღოლურ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ომის ასპარეზად იქცა საქართველო XIII საუკუნეში?

ა) ოქროს ურდოსა და ილხანთა საყაენოს;

ბ) ილხანთა საყაენოსა და ჩაღათაის სახანოს;

გ) ჩაღათაის სახანოსა და ჯუჩის ულუსს;

დ) ჯუჩის ულუსსა და ოქროს ურდოს.

8. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა 1302 წელს საფრანგეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს - გენერალური შტატების, მოწვევა?

ა) საზოგადოებაში გამოწვეულმა სოციალურმა დაპირისპირებამ;

ბ) მეფესა და რომის პაპს შორის არსებულმა კონფლიქტმა;

გ) ესპანეთთან ომის პირველ ეტაპზე განცდილმა მარცხმა;

დ) ბარონებს შორის დაუსრულებელმა ომებმა.

9. რომელი კულტურული ტრადიციის აღორძინებას გულისხმობდა XIV საუკუნეში იტალიაში ჩასახული მიმდინარეობა - რენესანსი?

ა) გოთური;

ბ) მავრიტანული;

გ) ანტიკური;

დ) კელტური.

10. ვისი ზედწოდება უკავშირდება ახალი ოსმალური სამართლებრივი სისტემის შექმნას?

ა) სულეიმან I-ის;

ბ) ბაიაზეთ I-ის;

გ) სელიმ II-ის;

დ) მურად II-ის.

11. რომელი მსჯელობაა მართებული შაჰის მიერ სიმონ I-ის ტყვეობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით?

ა) ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ სიმონმა ისლამი მიიღო, ამიტომ გაათავისუფლეს და ქართლის ამირად დაადგინეს;

ბ) ირანში იცოდნენ, რომ სიმონი ქართლში დაბრუნების შემდეგ ოსმალების წინააღმდეგ იბრძოლებდა და ამიტომ გაათავისუფლეს;

გ) ქართლ-კახეთში დაწყებულმა აჯანყებამ აიძულა შაჰი, მძევლად მყოფი სიმონი გაეთავისუფლებინა;

დ) ირანში ქართლის მოკავშირე რუსეთის მეფის თხოვნას ანგარიში გაუწიეს და სიმონ მეფე გაათავისუფლეს.

12. რა წვლილი შეიტანეს XVII საუკუნის საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებმა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სფეროში?

ა) დააარსეს სკოლები;

ბ) დაბეჭდეს სახელმძღვანელოები;

გ) აღადგინეს აკადემია;

დ) ჩამოიყვანეს ევროპელი მასწავლებლები.

13. რა უკავშირდება ლუი XIV-ის სახელს?

ა) რეფორმაცია;

ბ) აბსოლუტიზმი;

გ) კოლონიური ომები;

დ) განმანათლებლობა.

14. რა ღვაწლი მიუძღვის ანთიმოზ ივერიელს ქართული კულტურის განვითარებაში?

ა) ხელმძღვანელობდა „სწავლულ კაცთა“ კომისიას;

ბ) შეიმუშავა ქართული ენის ახალი სამწერლობო ნორმები;

გ) მისი ხელმძღვანელობით გადაიწერა „ვეფხისტყაოსანი“;

დ) მისი დახმარებით თბილისში გაიხსნა პირველი სტამბა.

15. სად დაამარცხა იმერეთის მეფის ლაშქარმა ოსმალეთიდან გამოგზავნილი ჯარი 1757 წელს?

ა) სოხოისტასთან;

ბ) ფარცხისთან;

გ) ხრესილთან;

დ) მურჯახეთთან.

16. რა ეწოდებოდა ორგანოს, რომელმაც 1791 წელს მიიღო საფრანგეთის პირველი კონსტიტუცია?

ა) დამფუძნებელი კრება;

ბ) კონსულთა საბჭო;

გ) დირექტორია;

დ) ეროვნული ხსნის კომიტეტი.

17. რა მიზანს ისახავდა ნაპოლეონი „კონტინენტური ბლოკადის“ გამოცხადებით?

ა) რუსეთის სრულ იზოლაციას;

ბ) ინგლისის ეკონომიკურ დასუსტებას;

გ) ავსტრიის პოლიტიკურ დაქვემდებარებას;

დ) პრუსიის გავლენის შემცირებას.

18. რომელი მსჯელობაა მართებული რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის თაობაზე?

ა) იმპერატორმა პავლე I-მა გიორგი XII-ის გარდაცვალებისთანავე მოაწერა ხელი სამეფოს გაუქმების მანიფესტს, რომელიც გამოქვეყნდა ქართულ გაზეთებში;

ბ) იმპერატორმა ეკატერინე I-მა გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე გამოსცა სამეფოს გაუქმების მანიფესტი და ქართველ თავადებს მის ერთგულებაზე დაფიცება უბრძანა;

გ) იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა რუსეთში გაიწვია სამეფოს დროებითი მმართველი დავით გიორგის ძე და ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადა;

დ) იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მეფედ არ დაამტკიცა სამეფოს გამგებლად გამოცხადებული დავით გიორგის ძე და გამოსცა სამეფოს გაუქმების მანიფესტი.

19. რომელი მსჯელობაა მართებული იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ?

ა) გენერალმა ციციანოვმა 1804 წელს დაიკავა ქუთაისი და იმერეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადა;

ბ) რუსეთმა 1810 წელს სამეფო გააუქმა, ხოლო სოლომონ II იძულებული გახდა ოსმალეთში გადახვეწილიყო;

გ) რუსეთმა დაარღვია სოლომონ I-თან დადებული ხელშეკრულება და 1810 წელს მას ტახტი ჩამოართვა;

დ) გენერალი ტორმასოვი ჯარით შეიჭრა იმერეთში 1804 წელს და მეფე აიძულა ტრაპიზონში გახიზნულიყო.

20. სხვა მოვლენებთან ერთად რამ მისცა ბიძგი XIX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის კონფედერაციული შტატების შექმნას?

ა) გენერალ რობერტ ლის ამბოხებამ;

ბ) სამხრეთის შტატებში რეზერვაციების გაუქმებამ;

გ) პრეზიდენტად აბრაამ ლინკოლნის არჩევამ;

დ) ჩრდილოეთის შტატებში აბოლიციონისტების დევნამ.

21. რა იყო თერგდალეულთა მოღვაწეობის ერთ-ერთი მიზანი?

ა) სახელმწიფო სამსახურში ქართველთა მასობრივი დაწინაურება;

ბ) ტრადიციული მანუფაქტურული წარმოების აღორძინება;

გ) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შენარჩუნება;

დ) ქართველთა შორის განათლების დონის ამაღლება.

22. რომელ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებით დასრულდა იმ სამხედრო ბლოკის შექმნა, რომელმაც პირველ მსოფლიო ომში გაიმარჯვა?

ა) რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს;

ბ) დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს;

გ) აშშ-სა და საფრანგეთს;

დ) საფრანგეთსა და რუსეთს.

23. რა მოვლენა უკავშირდება კავკასიაში საბჭოთა რუსეთის XI არმიის მოქმედებას?

ა) ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაპყრობა;

ბ) ბათუმის ოლქიდან ინგლისელების განდევნაში მონაწილეობა;

გ) ქართულ ჯართან ერთად თეთრგვარდიელთა დამარცხება;

დ) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამყარება.

24. სხვა მიზეზებთან ერთად რამ გამოიწვია სსრკ-ში განხორციელებული კოლექტივიზაციისას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირება?

ა) მთლიანად განადგურდა უცხოური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;

ბ) მნიშვნელოვნად შემცირდა სახნავ-სათესი მიწების ფართობი;

გ) გლეხებს დაეკარგათ მატერიალური დაინტერესება;

დ) კულაკების უმეტესობა სამუშაოდ ქალაქში წავიდა.

25. რომელი მსჯელობაა მართებული ესპანეთის სამოქალაქო ომთან დაკავშირებით?

ა) მეფის მოულოდნელმა გარდაცვალებამ სახელმწიფოში ანარქია გამოიწვია, რაც ძალიან მალე დიდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა;

ბ) საპარლამენტო არჩევნებში რესპუბლიკური, მემარცხენე ძალების კოალიციის გამარჯვება ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა;

გ) კათოლიკური ეკლესიის მიერ მონარქიის რესტავრაციის იდეის მხარდაჭერა, ომის დაწყების უმთავრეს მიზეზად იქცა;

დ) არჩევნებში მემარჯვენეების გამარჯვებამ გააქტიურა სეპარატისტული მოძრაობა, რამაც ბიძგი მისცა სამოქალაქო ომის დაწყებას.

26. რომელი ისტორიული პროცესის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა 1938 წელს მიუნხენში გამართული შეხვედრა?

ა) დაშოშმინების ანუ დაყვავების პოლიტიკის;

ბ) ცივი ომის ანუ სისტემათა დაპირისპირების;

გ) დეკოლონიზაციის ანუ იმპერიათა დაშლის;

დ) მშვიდობიანი თანაარსებობის ანუ ზავის პოლიტიკის.

27. რას ითვალისწინებდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი?

ა) ნაციონალისტური და კომუნისტური რეჟიმების მხარდაჭერას;

ბ) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა აგრესიის შეკავებას;

გ) ანტიიმპერიალისტური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნას;

დ) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიების განაწილებას.

28. რა იყო პერლ-ჰარბორზე იაპონიის თავდასხმის მიზანი?

ა) აშშ-ს მთავარი ნავთობსარეწების განადგურება, რაც ძალიან გააძნელებდა ამერიკელების მიერ საკუთარი სამხედრო ტექნიკის გამოყენებას;

ბ) სამხედრო მოქმედებების გადატანა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში და აშშ-ში დესანტის გადასხმისათვის პლაცდარმის შექმნა;

გ) აშშ-ს წყნარი ოკეანის ფლოტის განადგურება და ამით მომავალ ომში დიდი სამხედრო უპირატესობის მოპოვება;

დ) მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინება, რასაც აშშ-ში დიდი ანტისაომარი მანიფესტაციების დაწყება უნდა გამოეწვია.

29. რატომ დაიწყო ომი კორეის ნახევარკუნძულზე 1950 წელს?

ა) სსრკ-ს სურდა ნახევარკუნძულის დაპყრობა და თავისი შენაერთების გაგზავნა იაპონელთა სამხედრო ბაზების წინააღმდეგ;

ბ) სამხრეთ კორეამ გადაწყვიტა, დაემხო კომუნისტური ხელისუფლება ჩრდილოეთში და სამხედრო მოქმედებები დაიწყო;

გ) აშშ-ს აქ საკუთარი სამხედრო ბაზების განთავსება სურდა და ნახევარკუნძულზე მყოფი ჩინეთის სამხედრო ქვედანაყოფებს შეუტია;

დ) ჩრდილოეთ კორეამ ძალისმიერი გზით სცადა ორად გაყოფილი ქვეყნის გაერთიანება და სამხრეთ კორეაში შეიჭრა.

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 30-32.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

30. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის მოვლენები.

1. ვანდალების მიერ რომის აღება
2. ბრძოლა კატალაუნის ველზე
3. ოდოაკრის მიერ რომის იმპერატორის ჩამოგდება

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ პეტრე I-ის მმართველობისას მომხდარი მოვლენები.

1. „ჩრდილოეთის ომის“ დაწყება
2. აზოვის ციხის აღება
3. ლაშქრობა კასპიისპირეთში

32. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები.

1. იალტის კონფერენცია
2. ოპერაცია „ბარბაროსას“ დაწყება
3. „უცნაური ომი“

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 33-34.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. № 33 დავალების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო № 34-ის - 4.

ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 33.

1

2

ორივე ილუსტრაცია ასახავს XVIII საუკუნეში განვითარებულ ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესს.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **33.1.** რა სახელწოდებითაა ცნობილი №1 ილუსტრაციაზე ასახული ისტორიული მოვლენა?

(1) **33.2.** N1 ილუსტრაციაზე არსებული რა კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

(1) **33.3.** რა ეწოდება ისტორიულ პროცესს, რომლის დაწყების ერთ-ერთი მომენტიც ასახულია №1 ილუსტრაციაზე, ხოლო დასრულება - №2 ილუსტრაციაზე?

(1) **33.4.** რა სახელწოდებითაა ცნობილი დოკუმენტი, რომლის ხელმოწერაც ასახულია №2 ილუსტრაციაზე?

(1) **33.5.** შეაფასეთ მსოფლიო ისტორიისათვის იმ ისტორიული პროცესის მნიშვნელობა, რომლის შემადგენელი ეპიზოდებიც ასახულია ილუსტრაციებზე. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

დავალება 34.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **34.1.** რა დანიშნულება ჰქონდა ილუსტრაციაზე წარმოდგენილ ტალონებს?

(1) **34.2.** დაასახელეთ პარტია, რომლის მმართველობის პერიოდშიც არის შექმნილი ილუსტრაციაზე ასახული ტალონები.

(1) **34.3.** ახსენით, ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე დაასახელეთ პოლიტიკური პარტია.

(1) **34.4.** თქვენი აზრით, რატომ გახდა საჭირო ამ ტალონების შემოღება?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 35 და 36.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

35. კარაკალას ედიქტი

212 წელს რომის იმპერატორმა კარაკალამ გამოსცა ედიქტი, რომლის თანახმადაც, რომის იმპერიაში მცხოვრებ ყველა თავისუფალ ადამიანს რომის მოქალაქეობა ენიჭებოდა. იმპერატორის გარემოცვის ერთი ნაწილი ამ ედიქტის მიღების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც იმპერატორის მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც იმპერატორის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

36. . ყუბასარის დაწინაურება

გიორგი III-მ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელ ყუბასარს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობები უბოძა. ფეოდალთა ერთი ნაწილი მეფის გადაწყვეტილებას მიემხრო, ხოლო მეორე ნაწილი ამ აზრს ეწინააღმდეგებოდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც მეფის გადაწყვეტილების მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიტანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც მეფის გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისთვის №37.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

დავალება 37. მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე უპასუხეთ დასმულ კითხვებს

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **37.1.** რომელი ხალხის მიერ განხორციელებული დაპყრობებია ასახული რუკაზე?

(1) **37.2.** რუკის მიხედვით, ვისი მეთაურობით განხორციელდა ლაშქრობები, რომლის დროსაც დაიპყრეს საქართველო?

(1) **37.3.** რუკის მიხედვით, აზიის რომელი ქალაქი არ შევიდა იმპერიის შემადგენლობაში?

(1) **37.4.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქიდან იწყებს მოგზაურობას მარკო პოლო და რომელ ქალაქში ჩასვლა იყო მისი მოგზაურობის საბოლოო მიზანი?

(2) **37.5.** რუკის მიხედვით, რუსეთის რომელი ქალაქები განიცდიდნენ ყველაზე ნაკლებად დამპყრობთა ბატონობას? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

(2) **37.6.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ პიროვნება, რომელმაც ილაშქრა ყველაზე დასავლეთით და რომელ ქალაქთან მოუწია ბრძოლის გადახდა ამ ლაშქრობისას?

ინსტრუქცია დავალებისთვის №38.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 38. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

მეფის მცირეწლოვანებისას შეკრიბეს მისი სამეფოს ლაშქარი ლიპარიტმა და ივანე აბაზასძემ. მოვიდა კვირიკე დიდიც რანთა და კახთა მეფე, ასევე დავით სომეხთა მეფე და ტფილისის ამირა ჯაფარი. გაილაშქრეს ერთად განძის ამირა ფადლონზე, დაამარცხეს და გააქციეს.

მეფის ყრმობისას ლიპარიტმა და ივანე აბაზასძემ, ქართლის ერისთავმა, მუხათგვერდში გამოიტყუეს ტფილისელი ამირა ჯაფარი, შეიპყრეს და წაართვეს ბირთვისი. შეიწყნარა ჯაფარი მეფემ და ისევ ტფილისის ამირად დააბრუნა.

მცირე დროის შემდეგ ურჩია ლიპარიტმა მეფეს ტფილისის აღება. მოადგა ტფილისს მტკვრის აქეთა მხრიდან მეფის ლაშქარი, ხოლო მეორე ნაპირიდან - კახთა და ჰერთა ლაშქარი. იმ დროს კახთა მეფე კვირიკე დიდი მოკლული იქნა ვინმე ოვსის მიერ, რადგან ბრძოლაში კვირიკე მეფემ მოკლა ოვსთა მეფე ურდურე. სისხლის აღების მიზნით მოკლეს კვირიკე მთებში ნადირობისას. ბრძოლა ტფილისისთვის გაგრძელდა ორ წელიწადს. ამირა ჯაფარმა მოამზადა ტივები და ნავები, რათა ღამით გაპარულიყო და წასულიყო განძაში. მეფემ ლიპარიტისგან ფარულადვე დადო ზავი ამირასთან. ამ დროიდან ჩაიდო ლიპარიტმა გულში თავის პატრონის მტრობა.

მცირე ხნის შემდეგ ჩამოიყვანა ლიპარიტმა დემეტრე, მეფის ძმა, საბერძნეთიდან ბერძენთა ლაშქრითურთ. მიემხრნენ ლიპარიტს კახნი.

ახლოვდებოდა ზამთარი, ბერძნებს დაბრუნება სურდათ. დაუდო ლიპარიტმა ზავი მეფეს. უბოძა მეფემ

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ქართლის ერისთავობა. წავიდნენ ბერძნები საბერძნეთში და თან წაიყვანეს დემეტრე.

კვლავ გამოიყვანა ლიპარიტმა საბერძნეთიდან დემეტრე, მეფის ძმა. ლიპარიტს ეხმარებოდა ბერძენთა მეფე სახსრებით და ლაშქრით. ამან სამეფოში განხეთქილება გამოიწვია: ნაწილი დემეტრეს მხარეზე გადავიდა, ნაწილი მეფის ერთგული დარჩა. ლიპარიტის თანამდგომნი იყვნენ კახნი და დავითი, სომეხთა მეფე. შეეშინდა მეფეს, რომ მოხდებოდა განხეთქილება მის სამეფოში. სთხოვა ლიპარიტს დაზავება და მცირე ამალით მივიდა მასთან ხოვლეში. როდესაც ლიპარიტმა მისი მისვლა შეიტყო, არ მოინდომა მეფის ნახვა და გაერიდა. გაბრუნდა მეფეც და წავიდა აფხაზეთში. მცირე ხნის შემდეგ კალმახის ერისთავმა სულამ და არტანუჯის ერისთავმა გრიგოლმა, მიიმხრეს სხვა მესხი აზნაურები და უხმეს მეფეს. გამოემართა მეფე ლაშქრით, გადმოიარა რკინის-ჯვრის უღელტეხილი და შეიყარნენ არყის ციხესთან. შეიტყო ეს ლიპარტმა, შეკრიბა ლაშქარი, მიიმხრო კახნი და სომეხნი, ბერძნებიც თან ჰყავდა და მოულოდნელად დაესხა თავს არყის ციხესთან მყოფთ. ლიპარიტმა გაიმარჯვა და გაიქცა მეფე.

ერთი წლის შემდეგ ბასიანის მხარეში გამოჩდნენ თურქები. გამოვიდა ბერძენთა ჯარი მათ წინააღმდეგ და უხმეს ლიპარიტსაც. გააქციეს თურქებმა ბერძენთა ლაშქარი, შეიპყრეს ლიპარიტი და წაიყვანეს ხორასანში სულთანთან.

უხმეს ტფილისის მცხოვრებლებმა მეფეს. გადასცეს ტფილისი და შეიყვანეს ის ქალაქში.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

განთავისუფლდა ლიპარიტი თურქთაგან. ამის გამო მიატოვა მეფემ ტფილისი. დატოვა მეფემ ქუთაისში სამეფოს მმართველად ძე გიორგი და თვითონ საბერძნეთში წავიდა. დაყო საბერძნეთში სამი წელი.

იყო ლიპარიტის მოყუარე ხორასანში სულთანი თოღრულ ბეგი და საბერძნეთში ბერძენთა მეფე.

დაბრუნდა მეფე საბერძნეთიდან. მცირე ხნის შემდეგ დიდებულებს მოსწყინდათ ლიპარიტის პატრონობა. სულა კალმახელი და ყველა მესხი განუდგა მას. დლივში მყოფი ლიპარიტი და მისი ძე შეიპყრეს და მიჰგვარეს ჯავახეთში მყოფ მეფეს. ლიპარიტი აღიკვეცა ბერად. მიიცვალა ლიპარიტი საბერძნეთში, სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში. წამოიყვანეს ის დიდი პატივით და დამარხეს კაცხში, საგვარეულო სამვალეში.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

მას ჟამს გამოვიდა სულთანი ალფ არსლანი, და დაესხა თავს ქვეყანას. გამოუგზავნა სულთანმა მეფეს ახალქალაქიდან მოციქული, შესთავაზა დანათესავება და სთხოვა დისწული ცოლად. მეფემ შერთო თავისი დისწული სპარსთა მეფეს.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **38.1.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, დაასახელეთ მეფე, რომელსაც ებრძოდა ლიპარიტი.

(1) **38.2.** დაასახელეთ წყაროში მოხსენიებული ფეოდალები, რომლებიც ბოლომდე მეფის ერთგულნი იყვნენ.

(1) **38.3.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, აპირებდა თუ არა ლიპარიტი მეფის შეცვლას? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(1) **38.4.** თქვენი აზრით, რატომ უბოძა მეფემ ლიპარიტს ქართლის ერისთავობა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **38.5.** თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მეფემ თბილისში ამირას ხელისუფლების შენარჩუნება?

(1) **38.6.** წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ დაეხმარა ლიპარიტი ბერძნებს სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში?

(1) **38.7.** როგორ გესმით მემატიანის სიტყვები: „იყო ლიპარიტის მოყუარე ხორასანში სულთანი თოღრულ ბეგი და საბერძნეთში ბერძენთა მეფე“?

(2) **38.8.** წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ წავიდა მეფე „საბერძნეთში“ და, თქვენი აზრით, რამდენად მართებული იყო მეფის ეს ნაბიჯი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **38.9.** სრულად ჩამოთვალეთ, ვინ ეხმარებოდა ლიპარიტს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში და კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს დახმარება?

(2) **38.10.** წყაროს მიხედვით ჩამოთვალეთ რომელ სამხედრო ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა კვირიკე დიდმა.

(2) **38.11.** თქვენი აზრით, რატომ დასთანხმდა მეფე სულთანთან დანათესავებას და შემდგომში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით გამართლდა თუ არა მისი იმედი? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **38.12.** შეაფასეთ ლიპარიტის როლი თბილისის საამიროს შემოერთების პროცესში. წყაროზე დაყრდნობით, აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტები საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე